პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2024 წლის __ იანვარი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — ლევან ჩანქსელიანი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4824015129**
თარიღი: **15/01/2024**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2023 წლის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი 5 ფურცელი.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის

კულტურის, განათლების, სპორტისა

და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის

2023 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური წარმართავს საქმიანობას წყალტუბოს მუნიციპალიტეტში კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის შემდგომი განვითარებისათვის.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით 2023 წლის II კვარტალში კულტურული, ახალგაზრდული და სპორტული პროგრამების ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები:

- **6 იანვარს** საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით და ჩვენი სამსახურის ორგანიზებით, ჩატარდა საახალწლო კონცერტი. მოეწყო საბავშვო გასართობი სივრცეები, ფოტოგადასაღები სტენდები და ინსტალაციები. პატარებს დაურიგდათ საჩუქრები. ტერიტორიაზე განთავსებული იყო ხის საახალწლო სახლები, ადგილობრივ მეწარმეებს მიერ მოეწყო საშობაო ბაზრობა.
- **2 მარტს** ჩვენი სამსახურის ორგანიზებით მოეწყო შეხვედრა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთვების სამსახურში მომუშავე ქალბატონებთან. მათ მუნიციპალიტეტის მერმა გადასცა სიმბოლური საჩუქრები.
- დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, **21 მარტი** წყალტუბოში ტრადიციულად, ინკლუზიურ ცენტრში აღინიშნა. ცენტრის ბენეფიციარებს გადაეცათ საჩუქრები.
- **22 მარტs** წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა ამ დღესთან დაკავშირებით საქართველოს ორი კურორტის წყალტუბოსა და საირმის ახალგაზრდებმა კონფერენციები გამართეს. წყალტუბოდან პრეზენტაციები მოამზადეს საჯარო სკოლების, ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის საბუნებისმეტყველო წრის მოსწავლეებმა.
- **29 მარტს** წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალურ ხელბურთის ტურნირს, რომელშიც მონაწილეობდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტები.
- **6 აპრილს** წყალტუბოში მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და საგანმანათლებლო რესურს ცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?". ღონისძიებაში ჩართული იყო ქალაქის საჯარო და კერძო სკოლები. გამარჯვებულებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.
- **12 და 13 აპრილს** ქართული ენის დღესთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა შემოქმედებითი კონკურსები:
    - საუკეთესო ლიტერატურული ნაშრომი (ესეე), თემაზე "რა ენა წახდეს..."
    - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრების კონკურსი, თემით: შექმენი მხატვრულად „ქართული ენა".

  ღონისძიებაში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლის 80 მდე მოსწავლე. გამარჯვებულებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.
- **4 მაისს** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალური პარკის შესასვლელთან გაიხსნა წყალტუბოელი სპორტსმენის ბერძნულ - რომაული სტილით მოჭიდავის იაკობ ქაჯაიას ვარსკვლავი.

- **15** მაისს ქართული კინოს დღეს, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრმა საქართველოს მასშტაბით მოაწყო ქართული კინო მარათონი! აღნიშნულ ინიციატივას შეუერთდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტი. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაიმართა ორი კინო ფილმის ჩვენება:
    - "სამი სახლი" - რეჟისორი - ზაზა ურუშაძე
    - "დიდი მწვანე ველი", რეჟისორი - მერაბ კოკოჩაშვილი;
- **18** მაისს წყალტუბოში „ეროვნული სამოსის დღე" ტრადიციულად აღინიშნა კოსტიუმირებული მსვლელობით, რომელშიც ჩართული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, საჯარო და კერძო სკოლები, ა(ა)იპ-ები და წყალტუბოს ადგილობრივი მოსახლეობა. ღონისძიება საზეიმო კონცერტით დასრულდა.
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღე **26 მაისი** წყალტუბოში სხვადასხვა კულტურული-შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებებით აღინიშნება.
    - ქვეყნის უმთავრეს ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით, საქართველოს ჰიმნის ფონზე აღიმართა ეროვნული დროშა.
    - ჩატარდა მკლავჭიდის ტურნირი სხვადასხვა წონით კატეგორიებში, გოგონებსა და ვაჟებს შორის, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები. საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.
- **1 ივნისს,** ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები გაიმართა. ქალაქის ცენტრალურ პარკის მიმდებარედ, კულტურულ და შემეცნებით აქტივობებსა და ასფალტზე ცარცით ხატვით კონკურსში პატარები ხალისით ჩაერთნენ და სიმბოლური საჩუქრებიც მიიღეს.
- **15 ივნისს** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით წყალტუბოში „თეთრა მღვიმის" ტერიტორიაზე წყალტუბოელი თვითნასწავლი მხატვრის, თეა სილაგაძის პერსონალური გამოფენა მოეწყო.
- **19 ივნისს** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით „თეთრა მღვიმის" ტერიტორიაზე გაიმართა ზაზა კილასონიას საავტორო კონცერტი „მშვიდობა მსოფლიოს"
- **20** ივნისს მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მოეწყო შეხვედრა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ექსკლუზიური ლიტერატურული პროექტის „ცოცხალი წიგნები", რომელიც არაერთხელ ყოფილა წყალტუბოს სტუმარი.

  პროექტის ფარგლებში მოწვეული იყო:
    1. მარიამ ხუცურაული - პოეტი და პროზაიკოსი, საბას პრემიის ლაურეატი
    2. მიხო მოსულიშვილი- პროზაიკოსი და დრამატურგი
    3. ნინო გუგეშაშვილი - პროზაიკოსი, პოეტი, მუსიკოსი
    4. გიო ზედვაკელი (აბესაძე)- პოეტი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან რელიგიური ორგანიზაციების პროგრამის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოები და ფინანსური დახმარება გაეწიათ ტაძრებს:

- ქ. წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩზე მდებარე ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრი - 10 000 ლარი.
- ქ. წყალტუბოში თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე, ანჩისხატის სახელობის ტაძრი - 10 000 ლარი.
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ თერნალში მდებარე ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრი - 10 000 ლარი.
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ტაძარი- 9 000 ლარი.
- ქ. წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახ. სასულიერო გიმნაზიის ღობის მოწყობა - 10 000 ლარი.

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის ბაზიერთა უბანში მდებარე წმ. გიორგის სახელობის ტაძარი - 9 000 ლარი
- 2 ივლისს წყალტუბოში, საკონცერტო დარბაზ ,,ივერიაში'' ლეგენდარულმა ანსამბლმა ,,ქართული ხმები'' ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია - "წუთისოფელი" წარმოადგინა.
- **4 აგვისტოს** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საჯარო, კერძო ორგანიზაციებსა და უბნებს შორის გაიმართა სამოყვარულო ფრენბურთის ტურნირი.
- **8 აგვისტოს** საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მემორიალთან პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას.

- **3 სექტემბერს** მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, ქალაქ წყალტუბოს ცენტრალურ პარკში სხვადასხვა აქტივობებით დატვირტული ზაფხულის „მუსიკალური საღამოები" ჩატარდა .
- **23 სექტემბერს** წყალტუბოს ცენტრალურ პარკში სტარტი აიღო მსოფლიო ველომოყვარულთა საერთაშორისო ტურმა ,,GOLDEN FLEECE" - TRONHY GEORGIA"-მ. ველოტურში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა 55 ველომოყვარული, რომლებიც დისტანციის სწრაფად დაძლევაში შეეჯიბრა ერთმანეთს (ტურნირის მონაწილეებს შორის 5 ქალი ველომრბოლელია).
- **23 სექემბერს** მსოფლიო სპორტის კვირეული გაიხსნა მარათონით, სადაც მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები.
- ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის გარდამავალი თასი გათამაშდა - მინი ფეხბურთის ტურნირში, სადაც მონაწილეობა მიიღო იმერეთის 12-ივე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობების სამოყვარულო საფეხბურთო გუნდებმა. **25 სექტემბერს** ტურნირის პირველი თამაში გაიმართა. ,,წყალტუბო არენას" სტადნიოზე ერთმანეთს ქუთაისისა და წყალტუბოს ადგილობრივი თვითმმართველობის გუნდები დაუპირისპირდნენ.
- **26 სექტემბერს** - სასკოლო სპორტული კვირეულის ფარგლებში - ჩატარდა ფეხბურთის ტურნირი, სადაც მონაწილეობა მიიღო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სკოლებმა.
- **27 სექტემბერი** - სოხუმის დაცემიდან 30 წელი გავიდა, საქართველოს უახლესი ისტორიის ამ ტრაგიკულ თარიღთან დაკავშირებით წყალტუბოში, დიდების მემორიალთან პატივი მიაგეს აფხაზეთის ომის გმირებს. წყალტუბოს გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა აფხაზეთის ომის თემაზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის ჩვენება .
- **28-29 სექტემბერს** წყალტუბომ საერთაშორისო ტურისტული ფილმების ფესტივალს უმასპინძლა.
- **29 სექტემბერს** საკონცერტო დარბაზ ,,ივერიაში'' 12 საათიდან გაიმართა კინოჩვენება, წარმოდგენილი იყო 20-ზე მეტი ფილმი საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესახებ.
- **30 სექტემბერს** წყალტუბოში ტრადიციული სახალხო დღესასწაული ,,შემოდგომის წყალტუბო" მრავალფეროვანი და მასშტაბური ღონისძიებებით აღინიშნა.

  სახალხო დღესასწაულის ფარგლებში წარმოდგენილი იყო: ფოლკლორული და თეატრალიზებული სანახაობები; საგამოფენო სივრცეები; ეთნოგრაფიული კუთხეები; დღის განმავლობაში გაიმართა სხვადასხვა შემეცნებითი; კულტურული და სპორტული ღონისძიებები; დაიწურა ყურძენი და ჩამოისხა ბრენდირებული ღვინო - „შემოდგომის წყალტუბო", იმერულ ფაცხებში კი სოფლის ნობათი და ტკბილეული იქნა წარმოდგენილი.

  სახალხო დღესასწაულის ,,შემოდგომის წყალტუბო"-ს ფარგლებში გაიმართა წყალტუბოს საპატიო მოქალაქეების, წარმატებული ახალგაზრდების და „შემოდგომის წყალტუბო"-ს ფარგლებში ჩატარებულ კონკურსებში გამარჯვებულთა დაჯილდოება, ჩატარდა გალა კონცერტი და ღონისძიება დასრულდა ფოიერვერკით და DJ პროგრამით.
- 1 ოქტომბერს სახალხო დღესასწაულის ,შემოდგომის წყალტუბოს'' ფარგლებში ბოლო მუსიკალური აკორდი იყო კლასიკური მუსიკის კონცერტი, რომელიც ,,თეთრა მღვიმის'' არაჩვეულებრივ გარემოში გაიმართა.

ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მაყურებელთა წინაშე წარდგნენ ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ,,ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრთან ``არსებული სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები და ქალაქ ანკარის ბილკენტის უნივერსიტეტთან არსებული სამუსიკო სკოლის მოსწავლეები პედაგოგ თამარ ბარდაველიძე-თორესთან ერთად.

- **30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს** გაიმართა წყალტუბოში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სტილის დამფუძნებლის კედირ ჯიმშელეიშვილისა და ახალგაზრდებში ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის დავით აფხაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი 2011-2013 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის სხვადასხვა წონით კატეგორიაში. მონაწილეობა მიიღო წყალტუბოს, ქუთაისის, ბორჯომის, საგარეჯოს, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის სპორტსმენებმა.
- **19-20 ოქტომბერს** სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023 წლის ფარგლებში ჩატარდა კალათბურთი 3X3 და მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი, სადაც მონაწილეობდნენ წყალტუბოს საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები.
- **29 ოქტომბერს** სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023 წლის ფარგლებში ჩატარდა ფრენბურთის ტურნირი გოგონებში, სადაც მონაწილეობდნენ წყალტუბოს საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები.
- **30 ოქტომბერს** სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023 წლის ფარგლებში ჩატარდა ფრენბურთის ტურნირი ვაჟებში, სადაც მონაწილეობდნენ წყალტუბოს საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები.
- **11-12 ნოემბერს** გაიმართა ახალგაზრდა წარმატებული სპორტსმენის - შალვა ბზიკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში სხვადასხვა წონით კატეგორიაში. ტურნირში მონაწილეობდა ორასამდე სპორტსმენი ქვეყნის მასშტაბით
- **15 ნოემბერს** სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023 წლის ფარგლებში ჩატარდა ხელბურთის ტურნირი ვაჟებში, სადაც მონაწილეობდნენ წყალტუბოს საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები.
- **10 დეკემბერს** ჩატარდა როინ მეტრეველის სახელობის ხელბურთის რესპუბლიკური ტურნირი, ტურნირში მონაწილეობას ღებულობდა რვა მუნიციპალიტეტის გუნდი.
- **14-15-16 დეკემბერს** ჩატარდა ზურაბ ბადირეიშვილის სახელობის კალათბურთის რესპუბლიკური ტურნირი. ტურნირში მონაწილეობა მიიღო ექვსი მუნიციპალიტეტის გუნდმა.
- **20 დეკემბერს** წყალტუბოში საზეიმოდ აინთო ქალაქის მთავარი ნაძვის ხე. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ნიღბების თეატრის წარმოდგენა, მოეწყო საახალწლო საგამოფენო სივრცე, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივი მეწარმეები. დღის ბოლოს ჩატარდა საახალწლო საზეიმო კონცერტი და საღამო დასრულდა ფოიერვერკით.
- **21 დეკემბერს** ჩატარდა ზაურ ტეხოვის სახელობის მინი ფეხბურთის ტურნირი საჯარო და კერძო სკოლებს შორის (2008-2009 წ.წ. დაბადებული ვაჟები), ტურნირში მონაწილეობა მიიღო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თერთმეტმა საჯარო სკოლამ.
- **30 დეკემბერს** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა 2023 წლის საუკეთესო სპორტსმენები და მწვრთნელები დააჯილდოვა.
  წყალტუბოში ერთი წლის განმავლობაში სპორტსმენებმა ჯამში 50- მდე ოქროსა და ვერცხლის მედალი მოიპოვეს.
- 31 დეკემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა 24 საათიან რეჟიმში მომუშავე უწყებებისა და სამსახურების წარმომადგენლებს ახალი წლის დღესასწაული მიულოცა და საახალწლო კალათები გადასცა.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით შესყიდული იქნა საბავშვო საახალწლო ტკბილეული, რომელებიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ გადასცა: ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის და დღის ცენტრ ,,ჩვენი სახლის'' აღსაზრდელებს, ასევე საახალწლო საჩუქრები გადაეცათ მაღალმთიანი სოფლებში მცხოვრებ ბავშვებს.

ტურნირებში საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და დიპლომებით.

კულტურის, განათლების, სპორტისა და
ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი: /რიმა მარგიანი/